პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 29 აპრილი, 1945 წ. № 85 (7300). ფასი 20 კაპ.

[library stamp]

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც ღირსეულად დაიცვეს სამშობლო გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტებისაგან!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 28 აპრილს, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები ეგეზინი, ტორგელოვი, პაზევალკი, შტრასბურგი, ტემპლინი — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები დასავლეთ პომერანიაში.

დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბატოვის, გენერალ-პოლკოვნიკ გრიშინის, გენერალ-ლეიტენანტ ბოგკოვის, გენერალ-ლეიტენანტ კინოსიანის, გენერალ-ლეიტენანტ ბარინოვის, გენერალ-ლეიტენანტ ძნიტის, გენერალ-ლეიტენანტ ჩუვაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეევის, გენერალ-ლეიტენანტ ერასტოვის, გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვის, გენერალ-ლეიტენანტ ტერენტიევის, გენერალ-მაიორ გრებენიკის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, გენერალ-მაიორ ბორისოვის, გენერალ-მაიორ ტერემოვის, პოლკოვნიკ აფანასიევის, გენერალ-მაიორ გუსევის, პოლკოვნიკ ოგიენკოს, პოლკოვნიკ ეველიანენკოს, პოლკოვნიკ ჩეტვერტუხინის, პოლკოვნიკ შეველის, პოლკოვნიკ მელდერის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ ოსლიკოვსკის, გენერალ-მაიორ ბრიკელის, გენერალ-მაიორ კალიუჟნის კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხელსონის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნედვედოვის, პოლკოვნიკ ტიურინის, პოლკოვნიკ აკიმუშკინის, პოლკოვნიკ მისიურის, პოდპოლკოვნიკ კუზმინის, პოდპოლკოვნიკ მალიკინის, მაიორ ჩერნიშევის, პოლკოვნიკ ოლეინიკის, პოდპოლკოვნიკ ტანსკის, პოდპოლკოვნიკ ჟელნოვაჩის, პოდპოლკოვნიკ კუდიმოვის, პოლკოვნიკ სალიტანის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვაკის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანოვის, პოლკოვნიკ იუდინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შულგინის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ კონოვალოვის, პოლკოვნიკ იგონინის, პოდპოლკოვნიკ სივკოვის, პოლკოვნიკ ანტონოვის, პოდპოლკოვნიკ სლობოდიანის, პოდპოლკოვნიკ შევჩენკოს, პოდპოლკოვნიკ ლოჟკინის, პოლკოვნიკ სოკოლოვის, მაიორ გელიუსის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბაიდუკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ გეტმანის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოლკოვნიკ დოდონოვის, პოლკოვნიკ პუშკარევის, პოლკოვნიკ ტიურინის, მაიორ ხარლამოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შვიდკოის, პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის, პოლკოვნიკ ვინკოვის, პოლკოვნიკ შიტიკოვის, პოლკოვნიკ მიროტვორსკის, მაიორ ლებედევის, მაიორ ერმაკოვის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ ბორისოვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ნოვარჩუკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ეგეზინის, ტორგელოვის, პაზევალკის, შტრასბურგის, ტემპლინის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 აპრილს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 28 აპრილი. № 350.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების საბრძოლო მოქმედების კოორდინაციის საქმეში უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

საბჭოთა კავშირის მარშალი სიმონ კონსტანტინეს-ძე ტიმოშენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 27 აპრილი.

გაერთიანებული ერების კონფერენციაზე სან-ფრანცისკოში
27 აპრილის პლენარული სხდომის დღიური

სან-ფრანცისკო, 27 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). 27 აპრილს სან-ფრანცისკოს კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ერთხმად მოწონებულ იქნა ხელმძღვანელი კომიტეტის რეკომენდაცია უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების მოწვევის შესახებ — გახდნენ მშვიდობიანობისა და უშიშროების [illegible]

ხელმძღვანელი კომიტეტის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ოთხი თავმჯდომარე მორიგეობით თავმჯდომარეობდეს პლენარულ სხდომაზე და რომ სტეტინიუსი დანიშნულ იქნას აღმასრულებელი და ხელმძღვანელი კომიტეტების თავმჯდომარედ. ამასთან სხვა თავმჯდომარეები თავიანთ უფლებებს გადასცემენ სტეტი- [illegible]

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
28 აპრილის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა 28 აპრილს ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები ეგეზინი, ტორგელოვი, პაზევალკი, შტრასბურგი, ტემპლინი — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები დასავლეთ პომერანიაში, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები რიტი, ლუკოვი, ჰამერი, ვალდესჰეზი, ბლუმენჰაგენი, ზიუტერბერგი, ტაშენბერგი, კრააცენი, ჰარმენი, ვეგუნი, ბოიცენბურგი, ჰარდენბეკი, ჰასლენბენი, ჰერსვალდე, რინვენვალდე, ფრიდრიხსვალდე. 27 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და აეროდრომებზე ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბერლინის ქუჩებში ბრძოლებს და დაიკავეს ქალაქის რაიონ შარლოტენბურგის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ბისმარკშტრასემდე, ქალაქის რაიონ მოაბიტის დასავლეთი ნახევარი და ქალაქის რაიონ შენებერგის აღმოსავლეთი ნაწილი. 27 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ბერლინში ტყვედ წამოიყვანეს 9.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 100-ზე მეტი საველე ქვემეხი, 135 ტყვიამფრქვევი, 1.800 ავტომანქანა და 50 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ქუჩის ბრძოლებს ეწეოდნენ ბერლინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაიკავეს ქალაქის რაიონები ფრიდენაუ, გრუნევალდი, რულებენი და ამ რაიონში შეუერთდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებს, რომლებმაც სიმენსშტადტი დაიკავეს.

ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტეიან-ტბიან რაიონში, ბელორუსიის 1-ლი ფრონტისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები გარს შემოერტყნენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ჯგუფს და ბრძოლებს ეწეოდნენ მის მოსასპობად.

27 აპრილის ბრძოლებში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 18.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, აქედან 14.000 კაცი ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით გარშემორტყმულ გერმანელთა ჯგუფის შემადგენლობიდან. გარდა ამისა, ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 55 ტანკი, 268 საველე ქვემეხი, 2.150 ავტომანქანა, 89 ორთქლმავალი, 900 სარკინიგზო ვაგონი, 150 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, ქალაქ ბრნოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები პოპოვიცე, კუნოვიცე, ჟერავიცე, კიევი, ჟაროშიცე, რაშოვიცე, ლეტონიცე, კოზლანი, ბოგდალიცე, ნემოიანი, ტაბროვანი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

27 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებულ და მოსპობილია გერმანელთა 170 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 41 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები სვინემიუნდესა და შტრალზუნდზე

27 აპრილს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს გერმანელთა სამხედრო ობიექტებს სვინემიუნდესა და შტრალზუნდის ნავსადგურებში.

დაბომბვის შედეგად სვინემიუნდეში გაჩნდა საშენი ვერფების, რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე და ნავსადგურში 18-ზე მეტი ხანძარი, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

შტრალზუნდში დაბომბვამ დიდი ხანძრები გამოიწვია.

* *
*

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც შტეტინის ნავსადგურის გასწვრივ უტევენ ჩრდილო-დასავლეთით, მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ტყიანი მასივები და დაიკავეს ქალაქები ეგეზინი და ტორგელოვი. სხვა [illegible]

დასავლეთ რაიონებში. ჩვენი ტანკისტები და ქვეითები კრემელანკესა და გრუნევალდ-ზეეს ტბებს შუა გაიჭრნენ ბერლინ-პოტსდამის რკინიგზისა და ავტოსტრადისაკენ. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ამ გზებს რაიონში [illegible]

[illegible]

იერიშით იქნა დაკავებული საელექტროონო საზოგადოების ქარხანა და ელექტროქარხანა „ლევე“, რომლებიც გერმანელებმა წინააღმდეგობის ძლიერ გამაგრებულ კვანძებად გადააქციეს. ფრონტის ჯარებმა ბერლინში ერთი დღის ბრძოლებში გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ქუჩის ბრძოლებს ეწეოდნენ ბერლინის სამხრეთ-და- [illegible]

[illegible] გერმანელთა ნაწილები, რომლებიც ცდილობდნენ თავი დაეღწიათ „ქვაბიდან“. ბრძოლების ადგილები მოფენილია ჰიტლერელთა ათასობით გვამით. ორი დღის განმავლობაში ამ რაიონში დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 120-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. გერმანელთა ცდებს — გაჭრილიყვნენ დასავლეთის მიმართულებით აგრეთვე არა ჰქონია წარმატება. ჩვენი ჯარები სულ უფრო ავიწროებენ გარემოცვის რკალს და მოწინააღმდეგეს ზედიზედ ურტყამენ.

საკდესის ცნობა

ა. წ. 28 აპრილს რეიტერის სააგენტომ გადასცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მიერ გამოქვეყნებული განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰიმლერმა გააკეთა წინადადება, რომლის თანახმადაც გერმანია მზად არის უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინოს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ინგლისისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა უპასუხეს, რომ ისინი მიიღებენ უსიტყვო კაპიტულაციას მხოლოდ ყველა მოკავშირეთა, მათ შორის საბჭოთა კავშირის წინაშე.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამ ცნობას ადასტურებენ საბჭოთა პასუხისმგებელი წრეები.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

სან-ფრანცისკო, 27 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). 26 აპრილს სან-ფრანცისკოში გაერთიანებულ ერთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა, რომელმაც განაცხადა:

„ბატონო თავმჯდომარევ, ბატონებო! საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით ამ ისტორიულ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის პირველივე სიტყვებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და პირადად სახელმწიფო მდივანს ბატონ სტეტინიუსს ამ კონფერენციის წინ გაწეული მთელი უდიდესი მოსამზადებელი მუშაობისა და გაერთიანებულ ერთა კონფერენციის სამაგალითო ორგანიზაციისათვის. ამავე დროს მე ვსარგებლობ შესაძლებლობით, რომ საბჭოთა დელეგაციის სახელით უღრმესად გულწრფელი მადლობა გადავუხადო ქალაქ სან-ფრანცისკოს მერს ბატონ ლეპჰემს დელეგაციის მიმართ სან-ფრანცისკოში გულითადი სტუმართმოყვარეობის გამოჩენისათვის.

ბატონებო! საბჭოთა მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას აძლევს სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კონფერენციას. მოახლოვდა ომის დასასრული, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში მაინც. ჰიტლერული გერმანიის, ამ ომის მთავარი აგრესორის, განადგურება ფაქტი გახდა. დადგა დრო ვიზრუნოთ ომის შემდგომი დროისათვის, მომავლისათვის. კონფერენციამ უნდა განიხილოს საკითხი ომისშემდგომი საყოველთაო მშვიდობიანობისა და ხალხთა უშიშროების [illegible] მიწა-წყალს, მათს ახალგაზრდა თაობებს ახალი ავაზაკური იმპერიალისტური ომების საშინელებათა და უბედურებათაგან.

საბჭოთა მთავრობა გულწრფელი და მტკიცე მომხრეა უშიშროების ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისა. ყველაფერი, რაც კი თვით მასზე და მის ლოიალობაზე იქნება დამოკიდებული მშვიდობიანობისა და ხალხთა უშიშროების ასეთი ომისშემდგომი ორგანიზაციის შექმნის საერთო საქმეში, საბჭოთა მთავრობა მზად იქნება გააკეთოს. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში ჩვენ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ამ კეთილშობილი საქმის ნამდვილად ერთგულ ყველა სხვა მთავრობებთან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხთა ერთობლივი ძალებით ეს ისტორიული მიზანი მიღწეული იქნება, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რომლებიც ხელს უშლიან მის განხორციელებას. ამ საქმეში დიდი განძია ყველა ჩვენგანისათვის ცნობილი მუშაობა, რომელიც წარმან გაწეულ იქნა დუმბარტონ-ოქსში. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა იქ გამოიმუშავეს უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის ისეთი საფუძვლები, რომლებიც დიდმნიშვნელოვან საწყისს აძლევენ ახალი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციას. სულ ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკის დიდი პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის წინადადებით, ყირიმის კონფერენციაზე მიღებულ იქნა ამ პროექტის დიდმნიშვნელოვანი დამატებანი. ყოველივე ამის მეოხებით ამ კონფერენციას [illegible]

[illegible]

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

(დასასრული)

ქვეყნის ჰყვიდა მრავალი შეიარაღებული მტერი ყველაზე უფრო აგრესიული ფაშისტიზმია ბანაკი.

ამ ომის იარაღსულ მბრძოლთა შემდეგ, ამ წლების გადატანილი ტანჯვისა და უბედურების შემდეგ, გამაკეთებელი დიდი ხალხთა მისწრაფება ასეთი ორგანიზაციის შექმნისაკენ, მაგრამ იარაღი არ დაიყაროთ ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მოწინააღმდეგეებსაც. ისინი ამტკიცებენ თავიანთ ბრიტანიმთბარეთ მუშამიას, თუმცა უმეტესენ შემთხვევაში ამას, ფარულად, შენიღბული ფორმით აკეთებენ, ამისათვის ხშირად ფეოქენებენ გარეფფულად უაღრესად დემოკრატიულ ლოზუნგებსა და არგუმენტებს და აქამდეც კი მიდიან, რომ სატყვიერად იკიოებენ პატარა ერებს ინტერესებს ან სპარალიანალიზმა და ხალხთა სწორეფელობანობის პრინციპებს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მთავარი ის კი არ არის, თუ რა მოტივებით ან რა სპასაბით იქნება ნაფუშული ხალხთა ეშმაურნელნის ქვეფენრნიანი ორგანიზაციის შექმნა, თუ ფეოვრადაც შექმნილი არ იქნება ფაშიზმამდელი მშვიდობიანობის დაცვის ასეთი ეფექტური ორგანიზაცია, იგი იქნება ანსებულია ძალებით ამ დიდი ამოცანისათვის თავის გარეშეულის უუნარობის, კიდეკ ერთი მაჩვენებელი, მაგრამ ეს ფინა, ფიფაფეტერება რიდი იქნება, რომ ასეთი ორგანიზაციის საჭიროება ეკერ კიდეკ კარ მიმეფიდეტეა და რომ ასეთი ორგანიზაცია შექმნილი არ იქნება მომავალშიც, არ უნდა ეიფიქროთ, რომ ეშმაზოვანის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საქმეში ფერიკ ფიფაფეტებიდან. თვალდადებულნი აქაც ვერ ეიფიფინთ გზას. ჩვენ უნდა გავეფიფილოთ ეს ესენეფეფანი, რათა დავაქოლთთ ისინი, თავი დავაფლოთ ფეფეზიებს და, ბოლოს, ეიფოფოთ სიმეფფი გზა ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად ფრნალეთისკენ.

ამასთან, რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მე მინდა დავაფიქროთ კონფერენციია, რომ ჩვენს ქვეყანაში ფერანფეს მეფილი ხალხის ალიზრდა საერთაშორისო ეშმაზოვიან ტენდენციებ ორგანიზაციის შექმნის საქმისადმი ფრანფეფ ეფეფეფ ეფეფ ეფეფ